წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების გაფართოებული (რიგგარეშე) სხდომა N23

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის IX კორპუსის მშენებარე შენობის ნაწილის, სახელმწიფოს მიერ უზუფრუქტით გადმოცემის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება (მომხსენებელი სტუ-ს რექტორი პროფ. არჩილ მოწონელიძე).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
და აკადემიური საბჭოების გაფართოებული (რიგგარეშე)
2008 წლის 9 ივნისის სხდომის
ოქმი №23

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 50. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა აღნიშნა, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე სხდომა ტარდება გაფართოებული შემადგენლობით, ამიტომ გარდა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისა, სხდომას ესწრება აკადემიური საბჭოს წევრები და ასევე ფაკულტეტის დეკანები. ამის შემდეგ სპიკერმა სიტყვა გადასცა სტუ-ს რექტორს პროფ. არჩილ მოწონელიძეს.

პროფ. არჩილ მოწონელიძე – საკითხის წინა ისტორია ასეთია: პრობლემა ეხება ჩვენი ინფრასტრუქტურის დაბრუნებას. ის შენობა რაზედაც გვინდა ვიმსჯელოთ ამჟამად ჩვენ აღარ გვეკუთვნის, მაგრამ იქნებ როგორმე დავიბრუნოთ. მე მჭირდება დელეგირება იმისათვის, რომ ჩამოვაყალიბოთ თხოვნა და გვქონდეს უფრო მყარი საფუძველი, ვიდრე მხოლოდ რექტორის თხოვნა. ჩვენ მოვედით ადმინისტრაციაში წელიწად-ნახევარის წინ. 2007 წლის დასაწყისისათვის ეს შენობა ჩვენი აღარ იყო, ის გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მნიშვნელოვანი ფართი დაგვიბრუნდა. დაბრუნდა გაიჯარებული ობიექტები პირველ კორპუსში და სხვა კორპუსებში, დაბრუნდა შახტა-ლაბორატორია, ამ პროცესში დადებითი როლი შეასრულა

ეკონომიკის სამინისტრომ. სპორტული მოედანი ავტონომიურად გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს, ყველა ფორმალური წესის დაცვით, ამაში ჩაება განათლების მინისტრიც, მაგრამ ვერ მოხერხდა უზუფრუქტით მისი დაბრუნება. ამიტომ მეც ვღელავ იმის თაობაზე, რომ გამოცხადდა ამ ობიექტის პრივატიზაცია, ეს შენობა შენდებოდა სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ინიციატივით. ჩვენი ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გვჭირდება ეს შენობა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დაადგინა ამ კარკასის ვარგისიანობა. აქ უნდა ყოფილიყო საერთო საცხოვრებელი, რაც არ გვაქვს ან სასწავლო კორპუსი. ახლა კი გამოცხადებულია პრივატიზაციის საიტზე.

პროფ. დავით ჯაფარიძე – აქ არის დანაშაული. უბრალო ტერიტორია საბურთალოს რაიონში ღირს 6-7 მილიონი. აქ კი შენობაც დგას. რატომ არის ფასი 2 მილიონი დოლარი?

პროფ. ნოდარ ქაჯაია – რომელიც გაკეთებულია იმაზე უზუფრუქტი გვაქვს? მე-9 კორპუსი მშენებარეც არის, იქ უნდა ყოფილიყო მუზეუმი, კათედრები. ის ნავთობის სამინისტროს ფულით შენდებოდა. ისინი აუქციონს აცხადებენ აშენებულზეც და აუშენებელზეც? ჩვენ გვაქვს დიდი კოზირი. კოზირი არის ის, რომ ეს არის ერთი შენობა.

პროფ. დავით ჯაფარიძე – იქნებ თქვენ პირადად შეხვდეთ მინისტრს და დაელაპარაკოთ ამ საკითხზე.

პროფ. გენადი იაშვილი – ამბობენ, რომ შენდება საუნივერსიტეტო ქალაქი. ჩვენ მოვიაზრებით თუ არა იქ?

პროფ. მერაბ თევზაძე – მე არ ვიყავი როდესაც მინისტრთან შეხვედრა იყო. ეს იყო ერთი წლისა და სამი თვის წინ. ბატონი კახა ლომაია მობრძანებული იყო აქ. ეს კორპუსი მაშინ იყო ჩვენი. არაფერი არ გაიცემა თანხმობის გარეშე. ამაში მთავრობას არ გადაუხდია არაფერი. ამ შენობას ჰყავდა სპონსორი და ის აშენებდა. ეს არ არის ცალკეული შენობა. ეს არის ერთი მთლიანი ნაგებობა.

პროფ. არჩილ მოწონელიძე – მაშინაც როცა ბატონი კახა ლომაია საუბრობდა ის არც მაშინ არ იყო ტექნიკური უნივერსიტეტის და არც ახლა. ეს მშენებარეა და არ შედის ჩვენს ქონებაში.

სტუდენტი თემურ დუნდუა – ყველაფერი რაც ტექნიკურ უნივერსიტეტს ეკუთვნის უნდა დაუბრუნდეს მას.

პორფ. მერაბ თევზაძე – აქედან უნდა ყოფილიყო თანხმობა. სწორი ბრძანა სტუდენტმა თემურ დუნდუამ. მე ვარ რიგითი თანამშრომელი და ვითხოვ იმან ვინც ხელი მოაწერა ამ შენობის გასხვისებას, ის უნდა წავიდეს აქედან. ჩვენთვის არავის არაფერი დაუბრუნებია. არსებობს კანონი, რომლის თანახმად

განათლების დაწესებულებებსაც უმაგრდებათ შენობები და როცა შესძლებენ მაშინ განავითარებენ. დღეს ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ეს შენობა. 1982 წელს დაწყებული შენობა ჩვენ ვერ დავამთავრეთ. მაშინ უნივერსიტეტმა წაიღო ჩვენგან ერთი მილიონი სესხი, რათა დაემთავრებინა ბიბლიოთეკა მაღლივ კორპუსთან და შემდეგ ეს უნდა დაებრუნებინა. ისინი ვინც ასხვისებენ ჩვენს შენობებს, ჩვენი უნივერსიტეტის პატრიოტები არ არიან და უნდა წავიდნენ აქედან.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მე მოგახსენებთ სამართლებრივი თვალსაზრისით. ჩვენ ნუ შევედრებით ერთმანეთს პატრიოტიზმში. მე მოგახსენებთ ზუსტ მონაცემებს. 2006 წლამდე არცერთი კორპუსი არ იყო გადმოცემული და იყო სტუ-ს ბაზაზე. ეს არის უსასყიდლო უზუფრუქტი. 2007 წლის 1 მარტს III-IV კორპუსის პირველი სართული მთლიანად, I კორპუსის ხინკლის სახლი და შახტა-ლაბორატორია გადმოგვეცა უზუფრუქტით. ეს მშენებარე ტერიტორია არ იყო უზუფრუქტით გადმოცემული. არც მანამდე და არც შემდეგ. ამ შენობის გადმოცემის სურვილი არ ჰქონიათ. კანონში წერია, რომ ასეთი საკითხის გატანის უფლება მხოლოდ წარმომადგენლობით საბჭოს აქვს. ხვალ რომ მოინდომონ ამ კორპუსის ან სხვა კორპუსების გაყიდვა, ჩვენი თანხმობა დასჭირდებათ. მაშინ ბატონმა კახა ლომაიამ ბრძანა, რომ თუ ეს კორპუსი ვარგისია იქნებ დაიბრუნოთო. ეს უნდა გვქონოდა უზუფრუქტით გადმოცემული. მაშინ არ იყო არანაირი სახსრები. სახელმწიფოს კანონი დარღვეული არ აქვს. ეს არანაირად არ ეხება აშენებულ კორპუსს. იქ განლაგებული იყო 3 კათედრა: სამართლის, კრიმინალისტიკის და ედიბერიძის კათედრა. ისინი თვითონ გაიქცნენ მე-6 კორპუსში და გადავიდნენ იქ, სადაც იყო ნორმალური პირობები. იქ ეხლა არის ვერულავას კათედრა, ატელესი და მაგისტრატურა. მუზეუმი მრავალი წლის წინ გარდაიქმნა კომპიუტერულ ცენტრად, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

პროფ. ზურაბ ლომსაძე – როდის დავკარგეთ და რატომ?

პროფ. ნოდარ კოდუა – რა ფინანსები და პერსპექტივა გვაქვს?

პროფ. ნოდარ ქაჯაია – ქალბატონმა ქეთიმ აღნიშნა, რომ იყო გეგმა ამის რეანიმაციის და რომელ სამინისტროში წარადგინეთ? თუ უზუფრუქტით რამე არ გვაქვს, ერთადერთი ჩვენი ხელმოსაჭიდი არის ის, რომ ნაწილი ჩვენია.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მშენებარეს უზუფრუქტით არავინ არ გადმოგვცემს, თუ ჩვენ არ დავდეთ ფინანსები.

პროფ. არჩილ მოწონელიძე – თქვენგან არის საჭირო რომ თუ რამე ხელმოსაჭიდი არსებობს, ეს უნდა ჩავწეროთ წერილში.

პროფ. დავით ჯაფარიძე – თქვენ, როგორც ეკონომიკის სამინისტროში ნამუშევარი, არის თუ არა რამე პერსპექტივა? ეს კონკურსი მთავრდება 25-ში, ალბათ მყიდველიც არის?

პროფ. ზურაბ მგელაძე – ეს კორპუსი 2 თვის განმავლობაში გაიძარცვა, როცა იყო რევოლუცია 1992 წელს.

პროფ. მერაბ თევზაძე – აქ სალაპარაკო ბევრი არაფერია. საჭიროა აუდიენცია ვინმესთან, ალბათ პრეზიდენტთან. ამავე დროს მე მოვითხოვ, აუცილებლად გავარკვიოთ, რატომ უნდა დავიბრუნოთ, ე.ი. ვიღაცამ გასცა? ჩვენი თანხმობის გარეშე რატომ გაიცა? ეს არის ერთი ნაგებობა. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ყველა ხელშეკრულება, რომლებიც იჯარით არის გაცემული.

პორფ. დავით ჯაფარიძე – თუ ბატონი არჩილი არ შეხვდება მინისტრს, ეს წერილი არ მივა მინისტრამდე. საჭიროა მივყვეთ ამ წერილს.

სპიკერი – მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ ორივე საბჭოს სახელით დაიწეროს წერილი და დელეგირება მიეცეს სტუ-ს რექტორს პროფ. არჩილ მოწონელიძეს აწარმოოს მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი. საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების
გაფართოებული 2008 წლის 9 ივნისის (რიგგარეშე) სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების 2008 წლის 9 ივნისის №23 სხდომაზე სტუ-ს რექტორის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი – სტუ-ს IX კორპუსის მშენებარე შენობის ნაწილის, საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღებისა და სახელმწიფოს მიერ უზუფრუქტით გადმოცემის თაობაზე. აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ საკითხს და გადაწყვიტეს:

ეთხოვოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს პროფ. არჩილ მოწონელიძეს მიმართოს ეკონომიკის მინისტრს, რათა – სტუ-ს IX კორპუსის მშენებარე შენობის ნაწილი ამოღებული იქნას საპრივატიზაციო ნუსხიდან და სახელმწიფოსგან უზუფრუქტის ფორმით გადმოეცეს იგი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/